# ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

## I თავი.

### ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1. ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

| დასახელება | 2023 წლის გეგმა | | | 2023 წლის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| **I. შემოსავლები** | **23 047,0** | **12 878,4** | **10 168,7** | **22 904,0** | **12 532,6** | **10 371,4** |
| გადასახადები | **11 533,6** | 11 533,6 | - | **11 558,0** | 11 558,0 | |
| გრანტები | **10 168,7** | - | 10 168,7 | **10 371,4** | - | 10 371,4 |
| სხვა შემოსავლები | **1 344,8** | 1 344,8 | | **974,6** | 974,6 | |
| **II. ხარჯები** | **12 592,9** | **12 048,5** | **544,4** | **12 358,2** | **11 873,8** | **484,4** |
| შრომის ანაზღაურება | **2 997,4** | 2 917,4 | 80,0 | **2 982,2** | **2 902,2** | **80,0** |
| საქონელი და მომსახურება | **2 536,4** | 2 234,5 | 301,9 | **2 409,0** | **2 108,1** | **300,9** |
| პროცენტი | **42,1** | 42,1 | - | **39,4** | **39,4** | **-** |
| სუბსიდიები | **5 787,5** | 5 678,1 | 109,5 | **5 744,5** | **5 641,0** | **103,5** |
| გრანტები | - | - | - | - | **-** | **-** |
| სოციალური უზრუნველყოფა | **748,1** | 699,6 | 48,5 | **719,8** | **719,8** | **-** |
| სხვა ხარჯები | **481,4** | 476,9 | 4,5 | **463,5** | 463,5 | - |
| **III. საოპერაციო სალდო** | **10 454,1** | **829,9** | **9 624,2** | **10 545,7** | **658,8** | **9 887,0** |
| **IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **13 029,6** | **3 100,1** | **9 929,5** | **11 349,2** | **2 436,6** | **8 912,6** |
| ზრდა | **13 662,4** | **3 732,9** | **9 929,5** | **12 033,1** | **3 120,5** | **8 912,6** |
| კლება | **632,8** | **632,8** | **-** | **683,9** | **683,9** | **-** |
| **V. მთლიანი სალდო** | **- 2 575,5** | **- 2 270,2** | **- 305,3** | **- 803,5** | **- 1 777,8** | **974,3** |
| **VI. ფინანსური აქტივების ცვლილება** | **- 2 683,3** | **- 2 378,0** | **- 305,3** | **- 911,3** | **- 1 885,6** | **974,3** |
| ზრდა | **-** | **-** | **-** | **974,3** | **-** | **974,3** |
| ვალუტა და დეპოზიტები | **-** | - | - | **-** | - | 974,3 |
| სესხები | **-** | | | **-** | | |
| აქციები და სხვა კაპიტალი | **-** | | | **-** | | |
| კლება | **2 683,3** | **2 378,0** | **305,3** | **1 885,6** | **1 885,6** | **-** |
| ვალუტა და დეპოზიტები | **2 683,3** | 2 378,0 | 305,3 | **1 885,6** | 1 885,6 | - |
| სესხები | **-** | | | **-** | | |
| აქციები და სხვა კაპიტალი | **-** | | | **-** | | |
| **VII. ვალდებულებების ცვლილება** | **- 107,8** | **- 107,8** | **-** | **-107,8** | **- 107,8** | **-** |
| ზრდა | **-** | - | - | **-** | - | - |
| საშინაო | **-** | - | - | **-** | - | - |
| სესხები | **-** | - | | **-** | - | |
| **VIII. ბალანსი** | **0.0** | **0.0** | **-** | **0.0** | **0.0** | **-** |

2. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

| დასახელება | 2023 წლის გეგმა | | | 2023 წლის ფაქტი | | | შესრულების პროცენტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| **შემოსულობები** | **23679,8** | **13511,2** | **10168,7** | **23587,9** | **13216,5** | **10371,4** | 99,6 | 97,8 | 102,0 |
| შემოსავლები | 23047,0 | 12878,4 | 10168,7 | 22904,0 | 12532,6 | 10371,4 | 99,4 | 97,3 | 102,0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 632,8 | 632,8 | 0 | 683,9 | 683,9 | 0 | 108,1 | 108,1 | |
| ვალდებულების ზრდა | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| **გადასახდელები** | **26363,2** | **15889,2** | **10474,0** | **24499,1** | **15102,1** | **9397,0** | 92,9 | 95,0 | 89,7 |
| ხარჯები | 12592,9 | 12048,5 | 544,4 | 12358,2 | 11873,8 | 484,4 | 98,1 | 98,6 | 89,0 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 13662,4 | 3732,9 | 9929,5 | 12033,1 | 3120,5 | 8912,6 | 88,1 | 83,6 | 89,8 |
| ვალდებულებების კლება | 107,8 | 107,8 | - | 107,8 | 107,8 | - | 100 | 100 | |
| **ნაშთის ცვლილება** | -2683,3 | -2378,0 | -305,3 | -911,3 | -1885,6 | 974,3 | 34,0 | 79,3 | - 319,1 |

საგადასახადო შემოსავლები:

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| **დამატებული ღირებულების გადასახადი** | **10533,6** | **10517,6** | **99,8** |
| **ქონების გადასახადი** | **1000,0** | **1040,4** | **104,0** |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 880,0 | 926,7 | **105,3** |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | - | - | **-** |
| სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 40,0 | 41,8 | **104,4** |
| არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 80,0 | 71,9 | **89,8** |
| ***გადასახადები სულ*** | ***11533,6*** | ***11558,0*** | ***100,2*** |

გრანტები:

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლა | 548,7 | 548,7 | 100 |
| კაპიტალური ტრანსფერი (მათ შორის სოფლის მხარდამჭერის პროგრამა (734 000) და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო (3025,0 )) | 9619,9 | 9472,6 | 98 |
| *სულ* | *10168,6* | *10021,3* | *99* |

| N | თანხა | გრანტის გამომყოფი | გრანტის სახე | გრანტის მიზნობრიობა | გრანტის გამოყოფის საფუძველი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 548,7 | ცენტრალური ხელისუფლება | მიზნობრივი ტრანსფერი | დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად (ჯანდაცვის ა(ა)იპ; სამხედრო სამსახური; ბავშვთა უფლებების დაცვის პროგრამა; საჯარო სკოლების ხელშეწყობა) | 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 9619,9 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, გზების, წყლების, სპორტული მოედნების, სანაპიროს კეთილმოწყობა; სტიქიის პრევენცია | 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი | |

სხვა შემოსავლები:

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| **სხვა შემოსავლები სულ** | **1344,8** | **974,6** | **72** |
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **636,7** | **400,1** | **63** |
| პროცენტები | 210,0 | 155,7 | 74 |
| **რენტა** | 426,7 | 244,4 | 57 |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **180,5** | **144,6** | **80** |
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | **145,5** | **95,0** | 65 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 95,0 | 42,5 | 45 |
| მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვებზე | | | |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | | | |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | - | - | |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 50,5 | 52,5 | 104 |
| **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** | **35,0** | **49,6** | **142** |
| **სანქციები (ჯარიმები და საურავები)** | **260,0** | **110,9** | **43** |
| **ტრანსფერი რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული** | **267,6** | **319,0** | **119** |

არაფინანსური აქტივების კლება:

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| ძირითადი აქტივები | 40,0 | 38,6 | 96 |
| მატერიალური მარაგები | 0 | 2,6 | |
| არაწარმოებული აქტივები | 592,8 | 642,7 | 108 |
| მიწა | 592,8 | 642,7 | 108 |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **632,8** | **683,9** | **108** |

ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით:

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 2997,4 | 2982,2 | 99 |
| საქონელი და მომსახურება | 2536,4 | 2409,0 | 95 |
| პროცენტი | 42,1 | 39,4 | 94 |
| სუბსიდიები | 5787,5 | 5744,5 | 99 |
| გრანტები | - | - | - |
| სოციალური უზრუნველყოფა | 748,1 | 719,8 | 96 |
| სხვა ხარჯები | 481,3 | 463,5 | 96 |
| ***ხარჯები სულ*** | **12592,9** | **12358,2** | **98** |

**არაფინანსური აქტივების ზრდა:**

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| ძირითადი აქტივები | 13662,4 | 12033,1 | 88 |
| | | | |
| *არაფინანსური აქტივების ზრდა* | **13662,4** | **12033,1** | **88** |

**არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:**

| პროგრამული კოდი | დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 2109,9 | 1613,9 | 76 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 11020,0 | 9953,8 | 90 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 5520,0 | 5245,0 | 95 |
| 04 00 | განათლება | 78,9 | 77,1 | 98 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 441,7 | 379,3 | 86 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 6,3 | 3,7 | 59 |

**ვალდებულებები:**

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| საშინაო კრედიტორები | 107,8 | 107,8 | 100 |
| | | | |
| *ვალდებულებების კლება* | **107,8** | **107,8** | **100** |

ვალდებულებეის კლება წარმოადგენს:

- ✓ მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წელს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებულ სესხის (დასუფთავების სპეც ტექნიკა და ურნები) დაფარვას. მგფ-ის მიმართ მუნიციპალიტეტის სასესხო დავალიანება 2022 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 484,9 ლარს.
- ✓ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2022 წელს მიღებულია უსასყიდლო სესხი, რომლის დაფარვის ზღვრული თარიღია 2024 წლის 20 ნოემბერი. 2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები განისაზღვრა 2323,3 ათასი ლარით. 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები შეადგენს 2 215.1 ათას ლარს

**ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება:**

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა -911,3 (ფაქტი) ათასი ლარის ოდენობით.

ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 1885,6 (ფაქტი) ათასი ლარი.

**ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები**

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 1806,9 ათასი ლარი;

**საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხებიდან 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 890 724,97 ლარი, მათ შორის:**

| საქ. მთავრობის განკარგულება | ნაშთი |
|---|---|
| N277 15/02/2022 | 5332,73 |
| N136 18/01/2018 | 0,30 |
| N1305 29/07/2021 | 5296,87 |
| N2101 06/10/2017 | 54,26 |
| N1419 16/08/2021 | 9792,36 |
| N2685 31/12/2020 | 5242,96 |
| N693 06/04/2017 | 0,71 |
| N1409 18/07/2016 | 0,39 |
| N75 17/01/2022 | 7540,09 |
| N330 11/03/2021 | 0,64 |
| N554 15/03/2019 | 6,0 |
| N480 14/03/2017 | 1,42 |
| N2010 20/09/2019 | 1173,27 |
| N2577 31/12/2018 | 4,13 |
| N27 09/01/2020 | 0,50 |
| N168 05/02/2021 | 9442,44 |
| N2475 29/12/2022 | 186400,63 |
| N116 20/01/2023 | 650489,02 |
| N2476 29/12/2022 | 9946,25 |

**2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ადგილობრივი ნაშთმა შეადგინა 916,1 ლარი.**

## შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების

## ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2023 წლის გეგმა | 2023 წლის ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 7.1 | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **6099,3** | 5515,3 | 90 |
| 7.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 6057,3 | 5475,9 | 90 |
| 7.1.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 6055,6 | 5475,9 | 90 |
| 7.1.1.2 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 1,7 | - | |
| 7.1.6 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 42,1 | 39,4 | 94 |
| **7.2** | **თავდაცვა** | 83,2 | 82,2 | 99 |
| 7.2.2 | სამოქალაქო თავდაცვა | 83,2 | 82,2 | 99 |
| **7.4** | **ეკონომიკური საქმიანობა** | 4234,7 | 4225,0 | 100 |
| 7.4 5 | ტრანსპორტი | 4234,7 | 4225,0 | 100 |
| 7.4 5 1 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 4234,7 | 4225,0 | 100 |
| **7.5** | **გარემოს დაცვა** | 1148,4 | 1146,0 | 100 |
| 7.5 1 | ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება | 1148,4 | 1146,0 | 100 |
| 7.6 | **საბინაო კომუნალური მეურნეობა** | 8746,5 | 7629,5 | 87 |
| 7.6.2 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 3572,8 | 3374,7 | 95 |
| 7.6 3 | წყალმომარაგება | 1355,1 | 1265,8 | 93 |
| 7.6 4 | გარე განათება | 757,3 | 735,8 | 97 |
| 7.7 | **ჯანმრთელობის დაცვა** | 113,8 | 105,2 | 93 |
| 7.7 4 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 113,8 | 105,2 | 93 |
| 7.7 6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | - | - | - |
| 7.8 | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | 2881,2 | 2783,4 | 97 |
| 7.8 1 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 1429,6 | 1357,2 | 95 |
| 7.8 2 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1367,6 | 1342,2 | 98 |
| 7.8 3 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 14,0 | 14,0 | 100 |
| 7.8.4 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 70,0 | 70,0 | 100 |
| | **განათლება** | 2091,6 | 2017,6 | 96 |
| 7.9 1 | სკოლამდელი აღზრდა | 1423,3 | 1422,1 | 100 |
| 7.9 2 | ზოგადი განათლება | 668,2 | 595,5 | 89 |
| 7.9.2.2 | საბაზო ზოგადი განათლება | 7,0 | - | |
| 7.9 2 3 | საშუალო ზოგადი განათლება | 598,2 | 595,5 | 100 |
| 7 10 | **სოციალური დაცვა** | 856,6 | 818,1 | 96 |
| 7 10 1 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა | 279,6 | 265,6 | 95 |
| 7 10 2 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | - | - | - |
| 7 10 3 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 32,2 | 23,8 | 74 |
| 7 10 4 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 189,8 | 184,1 | 97 |
| 7 10 6 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | 51,6 | 51,5 | 100 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 10 9 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 303,4 | 293,2 | 97 |
| | **სულ** | **26255,4** | **24324,4** | **93** |

## II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ შეადგინა 24499,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის - 26363,1 ლარის 93 პროცენტია.



პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სრტრუქტურა შემდეგია:

| ხარჯების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| პროგ. კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2023 ფაქტი | % |
| სულ | მუნიციპალიტეტის ასიგნებები | 24499,1 | 93 |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 5705,2 | 23 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 11854,5 | 48 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1146,0 | 5 |
| 04 00 | განათლება | 2086,6 | 8 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 2783,4 | 11 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 923,3 | 4 |



## მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

საანგარიშო წელს მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 5705,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (6290,4 ლარი) 91 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 1006,1 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 4469,7 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (დელეგირებული ფუნქცია) – 82,2 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერით დაფინანსდა 82,2 ათასი ლარი) 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-33,9 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით ათვისებულია 32,2 ლარი. მათ შორის:

| N | ორგანიზაციული კოდი | ბრძანების ნომერი და თარიღი | ხარჯის დანიშნულება | თანხა (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | 05 03 | 2023 წლის 16 ნოემბრის ბრძანება N-ბ76.76233205 | „ახალგაზრდობის მხარდაჭერა" ქალთა საფეხბურთო კლუბ „რაჭა2020"-ს დასაფინანსებლად. | 1000 |
| 2 | 06 01 04 | 2023 წლის 18 დეკემბრის ბრძანება N-:ბ76. 762335226 | „ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსების ქვეპროგრამა" | 3906 |
| 3 | 06 01 06 | 2023 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება N-ბ76.76232929 | „ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა" სამედიცინო კვლევის დასაფინანსებლად | 700 |
| 4 | 04 03 | 2023 წლის 5 დეკემბრის ბრძანებაN-ბ76. 762333913 | (კულტურულ-სპორტულ-ახალგაზრდული) პროგრამების ფუნქციონირების შეუქცევადობის უზრუნველსაყოფად | 4000 |
| 5 | 04 04 | 2023 წლის 15 დეკემბრის ბრძანება N-ბ76. 762334917 | ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრისათვის გაზის მრიცხველის შესაძენად | 1800 |
| 6 | 03 02 | 2023 წლის 6 ნოემბრის ბრძანება N-76. 76233102 | „მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება" ქ. ამბროლაურში მდებარე სკვერებსა და გაზონებში არსებული დაავადებული, გამხმარი ხეების (კავკასიური სოჭი და ფიჭვი) დაუყოვნებლივ მოჭრისა და გატანის სამუშაოებისათვის. | 6000 |
| 7 | 03 04 | 2023 წლის 20 მარტის ბრძანება N-ბ76. 762307911 | „უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებში" ცოფის შემთხვევის დაფიქსირების და კარანტინის გამოცხადების გამო უპატრონო ცხოველების თავშესაფარში | 14825 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | გადაყვანისათვის | |
| სულ | | | | 32 231 |

ადმინისტრაციული შენობების დაცვის მომსახურებამ შეადგინა 83 400 ლარი.

1. **ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)**

საანგარიშო პერიოდში ინფრასტრუქტურის განვითარება სულ დაფინანსდა 11854,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (12981,2 ლარი) 91 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 12981,2 | 11854,5 | 91 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 3787,2 | 3780,0 | 100 |
| 02 01 01 | გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება | 600,5 | 600,2 | 100 |
| 02 01 02 | გზების კაპიტალური შეკეთება | 3187,0 | 3180,0 | 100 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 1355,1 | 1265,8 | 93 |
| 02 02 01 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 475,0 | 438,9 | 92 |
| 02 02 01 01 | წყლის სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი | 90,0 | 57,3 | 64 |
| 02 02 01 02 | წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა | 385,0 | 381,5 | 99 |
| 02 02 02 | წყლის სისტემების რეაბილიტაცია | 880,1 | 827,0 | 94 |
| 02 03 | გარე განათება | 757,3 | 735,8 | 97 |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | 661,6 | 645,4 | 98 |
| 02 03 01 01 | გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება | 425,9 | 409,7 | 96 |
| 02 03 01 02 | გარე განთების ქსელის მოვლა-პატრონობა | 235,7 | 235,7 | 100 |
| 02 03 02 | კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში | 95,7 | 90,3 | 94 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 02 04 | სტიქიის პრევენცია, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 3061,3 | 2253,2 | 74 |
| 02 06 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 2274,2 | 2110,7 | 93 |
| 02 07 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 772,0 | 762,0 | 99 |
| 02 08 | სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია | 112,6 | 104,6 | 93 |
| 02 09 | რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექინკური ზედამხედველობის დაფინანსება | 414,0 | 397,4 | 96 |
| 02 10 | სატრანსპორტო მომსახურება | 447,5 | 445,0 | 99 |

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

## 1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

2023 წლის განმავლობაში, ამბროლაურის ბიუჯეტიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- ✓ სოფელ წესში სასოფლო გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი;
- ✓ სოფელ პირველი ტოლის სასოფლო გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი;
- ✓ სოფელ ძირაგეულის სასოფლო გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი;
- ✓ სოფელ სადმელში სასოფლო გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი;
- ✓ სოფელ იწის სასოფლო გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სადმელში სასტუმროების კომპლექსთან ენუქიძეების და ოშხერლების უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიმშში ჭიჭინაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია;
- ✓ ქ. ამბროლაურში მე-7 ქუჩის და გურგენიძის ჩიხის ა/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ,,სოფელ ლიხეთში მდ.ხეორზე და მდ.ლუხუნზე არსებული ხიდ-ბოგირების რეაბილიტაციის სამუშაოები".
- ✓ სოფელ მეორე ტოლაში ხიდ - ბოგირის მოწყობის სამუშაოები;

**საბოლოო შედეგი:** მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

## 1.2. წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02 )

ქვეპროგრამის ფარგლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიატორიაზე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ ხონჭიორში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოები;
- ✓ სოფელ გორის დასახლების თამარ მეფის ქუჩის წყალმომარაგების მეორე ეტაპი;
- ✓ სოფელ გაღმა ბარეულის წყალმომარაგების მეორე ეტაპის სამუშაოები;
- ✓ სოფელ ბაჯში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოები;
- ✓ სოფელ ურავში წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ სოფელ ღადიშში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები.

**საბოლოო შედეგი:** მოსახლეობის უზრუნველყოფა წყლით.

## 1.3. ააიპ „ მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი“ (პროგრამული კოდი02 02 01 02)

ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სოფლების წყლის სათავე-ნაგებობების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების მოვლა-პატრონობა. სოფელ ჟოშხასა და სოფელ თხმორში მოხდა 1000 ლიტრიანი პოლიეთილენის სამარაგე ავზების განთავსება; საანგარიშო პერიოდში დაწესებულების მიერ მოხდა 495 დაზიანების აღდგენა.

## 2. გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქსელის მოვლა - პატრონობა და მოხმარებული ელ. ენერგიის ღირებულების დაფარვა.

მუნიციპალური ა(ა)იპ ახორციელებს მუნიციპალურ ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ნათურებისა და ქსელის აღდგენა, შეკეთება განახლებას. 2023 წლის ბოლოსთვის სანათი წერტილების რაოდენობამ მუნიციაპლიტეტის ტერიტორიაზე 6280 ერთეული შეადგინა.

**საბოლოო შედეგი:**
ღამის საათებში ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;

## 3. სტიქიის პრევენცია (პროგრამული კოდი 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები:

- ✓ ქ.ამბროლაურში გამსახურდიას ქუჩის მიმდებარეს მდ. კრიხულაზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ქ. ამბროლაურში მდ. კრიხულაზე რ/ბეტონის დამცავი ჯებირის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ სხვავაში ეკლესიის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ წესში მდ. რიონისა და მდ. ლუხუნის შესართავთან ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ ღვიარაში მდ. რიონზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები;

- ✓ სოფელ ხვანჭკარაში ახალ დასახლებაში, მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ ბოსტანაში (ონაშვილების სახლის წინ) ღელის მარჯვენა ნაპირზე ნაგებობის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ ჩორჯოში ონაშვილების დასახლებასთან მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ ჩორჯოში მახალდიანების უბანში მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ საკეციაში მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე საწარმოო ზოლისა და სავარგულოების დაცვისათვის ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები.

**საბოლოო შედეგი:** უსაფრთხო გარემო.

## 4. კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ ქალაქ ამბროლაურში ბრატისლავა-რაჭის ქუჩის რეაბილიტაცია;
- ✓ ქ. ამბროლაურში კოსტავას ქ #20-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო გამაგრებითი სამუშაოები;
- ✓ ქ. ამბროლაურში მდინარე კრიხულას სანაპიროზე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული როლის გაზრდის მიზნით მრავალფუნქციური ცენტრის მშენებლობა;
- ✓ ქ. ამბროლაურში დავით აღმაშენებლის და კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩებზე ღობეების მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ ხოტევში ნასხვეტას წყაროს კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ წესში ბარაკონის ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოს გალავნის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და სოფელ კვაცხუთში ხიდიკრის კლდეკარის განათების მოწყობის სამუშაოები.
- ✓ ქ. ამბროლაურში მახალდიანის ქუჩაზე საბავშვო ატრაქციონის მოწყობის სამუშაოები; ქოთნებისა და ნარგავების შესყიდვა-განთავსების სამუშაოები;
- ✓ ქალაქ ამბროლაურში 20 მეტრიანი სადროშე ბოძის მონტაჟის სამუშოები;

**საბოლოო შედეგი:** კომფორტული და ჯანსაღი გარემო მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის.

## 5. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 07)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფლის მოსახლეობის საჭიროებისამებრ მოთხოვნილი სამუშაოები: 12 სოფელში მოწესრიგდა გარე განათება; 1 სოფელში - სპორტული ინფრასტრუქტურა; 4 სოფელში - სასაფლაოს შემოღობვა; 13 სოფელში მოწესრიგდა საუბნო გზა; 26 სოფელში - წყლის სისტემა; 4 სოფელში მოეწყო სკვერი; 3 სოფელში - სანაიღვრე არხი; 2 სოფელში -ხიდი; 1 სოფელში - მოსაცდელი; 1 სოფელში - ნაპირსამაგრი; 1 სოფელში - სველი წერტილი.

## 6. სანიაღვრე არხების, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ ქ.ამბროლაურის ბარათაშვილის ქუჩის III ჩიხის სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები;

- ✓ სოფ. ქვიშარში ხუციძეების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფ. წესში, მოჯალაბეების უბანში სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფ. კვაცხუთში გზის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ქალაქ ამბროლაურში და სოფელ იწაში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ თლუღში, კაციტაძეების უბანში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ქალაქ ამბროლაურში, ჭავჭავაძის ქუჩის მრავალსაცხოვრებლიანი კორპუსის საკანალიზაციო მილის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ სადმელში შაუთიძეების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფ. ჭრებალოში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ სადმელში ქართველიშვილების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები.

**საბოლოო შედეგი:** საკანალიზაციო-სანიაღვრე სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა; გზების და სხვა ინფრასტრუქტურის ესპლუატაციის ხანგრძლივობის გაზრდა.

### 7. რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება (პროგრამული კოდი 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ასევე ფინანსდება 50 000 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

**საბოლოო შედეგი:** შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი.

## 2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1146,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (1148,4 ლარი) 100 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 1017,3 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას; მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და განვითარება დაფინანსდა 100,4 ლარით.

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1148,4 | 1146,0 | 100 |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 1018,4 | 1017,3 | 100 |
| 03 02 | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 100,4 | 100,4 | 100 |
| 03 03 | კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში | 10,0 | 9,9 | 100 |

| 03 04 | უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები | 19,6 | 18,4 | 94 |
|---|---|---|---|---|

მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან განხორციელდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ყოველდღიურად იგვებოდა ქალაქის ქუჩები. განხორციელდა ქალაქისა და მუნიციპალურ ტერიტორიაზე არსებული სკვერების, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, ქ. ამბროლაურის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდებოდა ქუჩების დაგვა-დასუფთავება და ხდებოდა შესაბამისი სპეც. ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გატანა.

## 3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2023 წლის განმავლობაში დაფინანსდა 2086,6 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 2091,5 ათასი ლარის, 100 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი დაწესებულების ხელშეწყობაზე მიმართული იქნა 1422,1 ათასი ლარი, საჯარო სკოლების დაფინანსებას (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 372,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ ამბროლაურის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი დაფინანსდა 223,5 ათასი ლარით, განთლების ღონისძიებები 69,0 ათასი ლარით.

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 2091,5 | 2086,6 | 100 |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა | 1423,3 | 1422,1 | 100 |
| 04 03 | განათლების ღონისძიებები | 70,0 | 69,0 | 99 |
| 04 04 | ა(ა)ი.პ ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი | 226,2 | 223,5 | 99 |
| 04 05 | საჯარო სკოლების ხელშეწყობა | 372,0 | 372,0 | 100 |

### სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არის 13 საბავშვო ბაღი. აქედან, ამბროლაურის საბავშვო ბაგა-ბაღში არის 5 ასაკობრივი და 1 შერეული ჯგუფი, ხოლო სოფელ ჭრებალოს საბავშვო ბაღში არის ორი შერეული ჯგუფი, დანარჩენი საბავშვო ბაღები დაკომპლექტებულია შერეული ჯგუფებით. 2023 წლის იანვარში დარეგისტრირებული იყო 321 აღსაზრდელი, აქედან 91- მა აღსაზრდელმა დაამთავრა საბავშვო ბაღი.

**საბოლოო შედეგი:**

სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მიღებისათვის.

## განათლების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 6 (ექვსი) სოციალურად დაუცველ, წარჩინებულ მოსწავლეს, გადაეცა პორტატული კომპიუტერი;
- საჯარო სკოლების ოქროსა (16 მოსწავლე) და ვერცხლის (2 მოსწავლე) მედალოსნებისთვის ფულადი ჯილდოების გადაცემა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსება (17 სტუდენტი);
- საგანმანათლებლო პორტალ „izrune.ge" და პროექტ ეტალონის მომსახურების შესყიდვა;
- ამბროლაურის ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნის ფონდის ოპტიმიზაციის მიზნით ქართული და მსოფლიო ლიტერატურის 33 ეგზემპლარის შეძენა; გურამ გორდეზიანის წიგნის პოეტური კრებული „ოდესღაც" 40 ეგზემპლარის შეძენა;
- ამბროლაურში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის პროფესიული ორიენტაციის ტრენინგის ორგანიზება;
- შეძენილ იქნა პირველკლასელთათვის გადასაცემად წიგნი - სახელმძღვანელო ,,პირველკლასელთა აკადემია" 96 ეგზემპლარი;
- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის პროგრამა;

**საბოლოო შედეგი:** მოზარდთა ამაღლებული შემოქმედებითი - საგანმანათლებლო დონე.

## ა(ა)ი.პ ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი (პროგრამული კოდი 04 04)

2023 წლის მონაცემებით ცენტრში შესაბამის განათლებას იღებს საშუალოდ 100 მოსწავლე.
დაწესებულებაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები:

- ზოგადი უნარების წრე;
- მათემატიკის წრე;
- ინგლისურის ენის წრე;
- გერმანული ენის წრე;
- რუსული ენის წრე;
- გახანგრძლივებული დღის ჯგუფი.

ა(ა)იპმა წარმატებით განახორციელა შემდეგი კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები:

- მოაზროვნე;
- ვკითხულობთ თანამედროვე მწერლობას;
- ძველი დიდების ნაკვალევზე;
- რა სამშობლო გვქონია;
- მწიგნობარი 2023;
- ,,დედა ენა'' - ,,ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა'';

**საბოლოო შედეგი:** მოზარდთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენისათვის შექმნილი შესაბამისი გარემო.

## საჯარო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 05)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სოფელ სადმელის საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის მოწყობის სამუშაოები.

**საბოლოო შედეგი:** განათლების ხელშეწყობა;

## კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 2783,4 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2881,2 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 97 პროცენტი. აღნიშნული სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 1328,3 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 1426,2 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერა - 28,9 ლარი;

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 2881,2 | 2783,4 | 97 |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 1396,5 | 1328,3 | 95 |
| 05 01 01 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 1023,7 | 1015,6 | 99 |
| 05 01 01 01 | ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა | 386,1 | 385,8 | 100 |
| 05 01 01 02 | ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი | 266,4 | 263,3 | 99 |
| 05 01 01 03 | ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი | 140,0 | 139,7 | 100 |
| 05 01 01 04 | ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა | 206,4 | 201,9 | 98 |
| 05 01 02 | კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში | 372,7 | 312,7 | 84 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 1451,6 | 1426,2 | 98 |
| 05 02 01 | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა | 1086,8 | 1074,4 | 99 |
| 05 02 01 01 | ა(ა)იპ ამბროლაურის კულტურის ცენტრი | 756,2 | 754,0 | 100 |
| 05 02 01 02 | ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა | 154,1 | 153,7 | 100 |
| 05 02 01 03 | ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა | 93,4 | 93,1 | 100 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05 02 01 04 | ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი | 83,1 | 73,5 | 89 |
| 05 02 02 | კულტურის ღონისძიებები | 99,6 | 94,2 | 95 |
| 05 02 04 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 70,0 | 70,0 | 100 |
| 05 02 05 | გაზეთის მომსახურების დაფინანსება | 14,0 | 14,0 | 100 |
| 05 02 06 | ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი | 181,2 | 173,6 | 96 |
| 05 03 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 33,1 | 29,0 | 87 |

**სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 სპორტული სკოლა, ესენია:

**ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“**

სკოლაში ფუნქციონირებს 6 სპორტული წრე, ესენია: კალათბურთი (35 მოსწავლე), ფრენბურთი (30 მოსწავლე), ჭადრაკი (45 მოსწავლე), კარატე (30 მოსწავლე), სამბო-ძიუდო (10 მოსწავლე), მაგიდის ჩოგბურთი (30 მოსწავლე). სულ აღნიშნულ სპორტულ სახეობებს ეუფლება 180 მოსწავლე. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებეში და ტურნირებში. ერთ-ერთი წარმატებული სპორტის სახეობაა მაგიდის ჩოგბურთი. სასპორტო სკოლის მოსწავლე ირიცხება მაგიდის ჩოგბურთის საქართველოს ნაკრებ გუნდში. სხვადასხვა ღონისძიებებში ასპარეზობისას სკოლის მოსწავლეებმა 5 მედალი მოიპოვეს (ერთი მეორე და სამი მესამე ადგილი).

წარმატებებით ფუნქციონირებს კარატის წრე. კარატისტებმა სხვადასხვა ღონისძიებაზე მოიპოვეს 42 სხვადასხვა ხარისხის მედალი, სკოლას ყავს ევროპის ჩემპიონი, რომელმაც გასულ წელს სექტემბრის თვეში ლიტვაში მეორედ მოიპოვა ეს დიდი ჯილდო.

ქ. ამბროლაურში ჩატარდა საქართველოს ღია პირველობა კუნ - ფუგოში, სადაც ქვეყნის 100- მა კარატისტმა მიიღო მონაწილეობა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიგელებით, მედლებით და ფასიანი საჩუქრებით. სასპორტო სკოლამ მოიპოვა 5 პირველი ადგილი და 6 მეორე ადგილი, სულ11 მედალი.

სკოლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს კალათბურთის საქართველოს ბე - ლგის გათამაშებაში 16 წლამდე ასაკში. ჯგუფში სკოლამ მესამე ადგილი დაიკავა. ხოლო რეგიონის პირველობაზე სკოლამ ამ ასაკში პირველი ადგილი დაიკავა.

სკოლამ მონაწილეობა მიიღო ჩოხიან ჭიდაობაში ქ. ცაგერში ღია პირველობაზე, სადაც საქართველოს ექვსი გუნდი მონაწილეობდა, ამბროლაურის სპორტსკოლამ მესამე გუნდური საპრიზო ადგილი დაიკავა.

ფრენბურთში პატარა ასაკში რეგიონის პირველობაზე სპორტსოლის გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი.

საანგარიშო პერიოდში სკოლამ ჩაატარა ტრადიციული რაჭის ღია პირველობა ჭადრაკში. ტურნირში მონაწილეობა მიიღო ცხრა რეგიონის ოცი მუნიციპალიტეტის 160 - მა მოჭადრაკემ. ღია ტურნირის

აბსოლიტური ჩემპიონი გახდა სპორტსკოლის მოსწავლე, წარმატებით იასპარეზეს სკოლის მოსწავლეებმა და სხვადასხვა ხარისხის მედლები მოიპოვეს. მწვრთნელთა კონკურსში მეორე ადგილი დაიკავა ამბროლაურის სპორტსკოლის მწვრთნელმა.

ნიკორწმინდის ტერიტორიაზე მოეწყო საცხენოსნო ტურნირი. ღონიძიებაზე მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა რაიონის 50 მხედარმა. მთავარი პრიზი სუფთა ჯიშის ცხენებში მოიპოვა ამბროლაურელმა ცხენოსმა.

სასპორტო სკოლის 5 მოსწავლე (კარატეში) ირიცხება საქართველოს ნაკრებ გუნდში, მაგიდის ჩოგბურთის საქართველოს ნაკრებში მიწვეული იყო 4 მოსწავლე.

**ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი“**

ჭიდაობის კლუბ “ფალავანში” ფუნქციონირებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი (უმცროსი ჭაბუკები, ჭაბუკები, ახალგაზრდები და დიდები). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 70 მოჭიდავე. კლუბში ვარჯიშები მიმდინარეობს ყოველდღიურად კვირა დღის გარდა. კლუბის აღსაზრდელები წარმატებით მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატებში, სხვადასხვა რეგონალურ და საერთაშორისო ტურნირებში.

- ✓ ქ. ბათუმი - საქართველოს დიდების პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 74 კგ. წონით კატეგორიაში ერთი პირველი ადგილი და ერთი მესამე ადგილი მოიპოვეს კლუბის მოჭიდავეებმა; 70 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი; 70 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი; აღნიშნულ პირველობაზე კლუბ „ფალავანმა“ გუნდური მეორე ადგილი მოიპოვა;
- ✓ ქ. გორი - ბადრი ბარამიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი, თავისუფალ ჭიდაობაში, უნცროს ჭაბუკთა შორის:
  23 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი;
  35 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი.
- ✓ ქ. გორი - საქართველოს პირველობა, 23 წლამდე ახალგაზრდებს შორის, თავისუფალ ჭიდაობაში:
  57 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი;
  70 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი;
  74 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი;
  74 კგ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილი;
  79 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი;
  გუნდური მე-3 ადგილი;
- ✓ ქ. კასპი - "ნუგზარ გოგიბედაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი" რესპუბლიკური ტურნირი:
  48 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი;
  52 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი;
  57 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი;
  35 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი.
- ✓ ქ. ოზურგეთი - საქართველოს პირველობა, ჭაბუკებს შორის, თავისუფალ ჭიდაობაში:
  80 კგ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილი;
  92 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი;
- ✓ ქ.ხაშური - საქართველოს პირველობა, ახალგაზრდებს შორის, თავისუფალ ჭიდაობაში:
  57კგ. წონითი კატეგორიაში მესამე ადგილი;
  65კგ. წონითი კატეგორიაში მეორე ადგილი.
  65კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი.
  70 კგ. წონითი კატეგორიაში პირველი ადგილი;
  74 კგ.წ ონითი კატეგორიაში პირველი ადგილი.
  74 კგ. წონით კატეგორიაში – მეორე ადგილი.

74 კგ. წონით კატეგორიაში - მესამეა დგილი;
79 კგ. წონითი კატეგორიაში - მესამე ადგილი;
125 კგ. წონითი კატეგორიაში მესამე ადგილი;
გუნდური მე-2 ადგილი;

- ქ. სტეფან წმინდა - საქართველოს პირველობა, უნცროს ჭაბუკთა შორის, თავისუფალ ჭიდაობაში: 52კგ. წონითი კატეგორიაში მეორე ადგილი;
- ქ. ამბროლაური - რაჭის ღია პირველობა:
  23 კგ. წონითი კატეგორიაში პირველი ადგილი;
  26 კგ. წონითი კატეგორიაში პირველი ადგილი;
  38 კგ. წონითი კატეგორიაში პირველი ადგილი;
  48 კგ. წონითი კატეგორიაში პირველი ადგილი;
  62 კგ. წონითი კატეგორიაში პირველი ადგილი;
  +62(85) კგ. წონითი კატეგორიაში პირველი ადგილი;
  36 კგ. წონითი კატეგორიაში მეორე ადგილი;
  38 კგ. წონითი კატეგორიაში მეორე ადგილი;
  39 კგ. წონითი კატეგორიაში მეორე ადგილი;
  20 კგ. წონითი კატეგორიაში მესამე ადგილი;
  29 კგ. წონითი კატეგორიაში მესამე ადგილი;
  41 კგ. წონითი კატეგორიაში მესამე ადგილი;
  41 კგ. წონითი კატეგორიაში მესამე ადგილი;
  62 კგ. წონითი კატეგორიაში მესამე ადგილი.
- ქ. ბაღდათი - ავთანდილ გურგენიძის სახელბის რესპუბლიკური ტურნირი:
  48 კგ. წონითი კატეგორია – პირველი ადგილი.
  85 კგ. წონითი კატეგორია– პირველი ადგილი.
  35 კგ. წონითი კატეგორია – მეორე ადგილი.
  38 კგ. წონითი კატეგორია – მეორე ადგილი.
  41 კგ. წონითი კატეგორია – მესამე ადგილი.
- ქ. სტეფანწმინდა - ტარიელ ალიბეგაშვილის სახელბის რესპუბლიკური ტურნირი:
  23 კგ. წონითი კატეგორია – პირველი ადგილი.
  26 კგ. წონითი კატეგორია – მეორე ადგილი.
  35 კგ. წონითი კატეგორია – მესამე ადგილი.
  48 კგ. წონითი კატეგორია– მესამე ადგილი.
  57 კგ. წონითი კატეგორია – მესამე ადგილი.
- ქ. ცაგერი - ალუდა სილაგაძის სახელბის რესპუბლიკური ტურნირი:
  32 კგ. წონითი კატეგორია – პირველი ადგილი.
  35 კგ. წონითი კატეგორია – მესამე ადგილი.
  45 კგ. წონითი კატეგორია – მესამე ადგილი.
  32 კგ. წონითი კატეგორია – მესამე ადგილი.
  35 კგ. წონითი კატეგორია - მესამე ადგილი.
- ქ. ონი - დავით გობეჯიშვილის სახელების რესპუბლიკური ტურნირი:
  74 კგ. წონითი კატეგორია – პირველი ადგილი.
  65 კგ. წონითი კატეგორია – მესამე ადგილი.
  65 კგ. წონითი კატეგორია – მესამე ადგილი.
  70 კგ. წონითი კატეგორია – მესამე ადგილი.
  86 კგ. წონითი კატეგორია -მესამე ადგილი.
- ქ. გორი - ნუგზარ სხიერელის მემორიალური ტურნირი, თავისუფალ ჭიდაობაში, ახალგაზრდებს შორის:
  65 კგ წონითი კატეგორია – მეორე ადგილი.
  65 კგ წონითი კატეგორია – მესამე ადგილი.
- ქ. ქუთაისი - მურად დოხტურაშვილის და ზაურ შეყრილაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, თავისუფალ ჭიდაობაში, ჭაბუკებს შორის:

80 კგ. წონითი კატეგორია - პირველი ადგილი;
57 კგ. წონითი კატეგორია - პირველი ადგილი;
71 კგ.წონითი კატეგორია - მეორე ადგილი;
62 კგ. წონითი კატეგორია - მეორე ადგილი;
32 კგ. წონითი კატეგორია - მესამე ადგილი.

- ✓ ქ. ჩოხატაური - სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი გმირებისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, ჭაბუკებს შორის:
  41 კგ. წონითი კატეგორია– პირველი ადგილი.
  26 კგ. წონითი კატეგორია – მეორე ადგილი.
  68კგ. წონითი კატეგორია– მეორე ადგილი.
- ✓ ქ. ბაღდათი - გიორგი ბოგდანოვის და გურამ გობეჯიშვილის ხსოვნის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, ჭაბუკებს შორის:
  23 კგ. წონითი კატეგორია– პიევლი ადგილი.
  32 კგ. წონითი კატეგორია – პირველი ადგილი.
  62 კგ. წონითი კატეგორია– მეორე ადგილი.
  26 კგ. წონითი კატეგორია – მესამე ადგილი.
  29 კგ. წონითი კატეგორია– მესამე ადგილი.
  38 კგ. წონითი კატეგორია– მესამე ადგილი.
  42 კგ. წონითი კატეგორია– მესამე ადგილი.
  53 კგ. წონითი კატეგორია– მესამე ადგილი.
- ✓ ქ. ხაშური - შოთა ლომიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, ჭაბუკებს შორის:
  42 კგ. წონითი კატეგორია– მესამე ადგილი.
  51 კგ. წონითი კატეგორია– მესამე ადგილი.
- ✓ ქ. ბათუმი - გიორგი გოგიჩაიშვილის ხსოვნის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, ჭაბუკებს შორის:
  23 კგ. წონითი კატეგორია– პირველი ადგილი.
  29 კგ. წონითი კატეგორია – პირველი ადგილი.
  45 კგ. წონითი კატეგორია – პირველ იადგილი.
  42 კგ. წონითი კატეგორია – მეორე ადგილი.
  32 კგ. წონითი კატეგორია – მესამე ადგილი.
- ✓ ქ. სამტრედია - ირაკლი ჯოჯუას ხსოვნის ტურნირი, თავისუფალ ჭიდაობაში, ჭაბუკებს შორის:
  35 კგ. წონითი კატეგორია – პირველი ადგილი.
  41 კგ. წონითი კატეგორია. – პირველი ადგილი
  26 კგ. წონითი კატეგორია – მესამე ადგილი.
  41 კგ. წონითი კატეგორია – მესამე ადგილი.
- ✓ ქ. ლანჩხუთი - როინ დობორჯგინიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, ჭაბუკებს შორის:
  35 კგ. წონითი კატეგორია – პირველი ადგილი.
  45კგ. წონითიკატეგორია – მეორე ადგილი.
  + 45 კგ. წონითი კატეგორია – მეორე ადგილი.
- ✓ ქ. თბილისი - ზარიბეგ ბერიაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, თავისუფალ ჭიდაობაში, ჭაბუკებს შორის:
  74კგ. წონითი კატეგორია – პირველი ადგილი.
  80კგ. წონითი კატეგორია – პირველი ადგილი.
- ✓ ქ. ხაშური - ვახტანგ კვინიკაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, ჭაბუკებს შორის:
  44 კგ. წონითი კატეგორია – პირველი ადგილი.
  47 კგ. წონითი კატეგორია – პირველი ადგილი.
  52 კგ. წონითი კატეგორია – პირველი ადგილი.
  41 კგ. წონითი კატეგორია – მესამე ადგილი.

- ✓ ქ. ბათუმი - საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, დიდებს შორის:
  74 კგ წონით კატეგორიაში – პირველი ადგილი.
  86 კგ წონით კატეგორიაში – პირველი ადგილი.
  79 კგ წონით კატეგირიაში – პირველი ადგილი.
  70  კგ წონით კატეგორიაში – მეორე ადგილი.
- ✓ ქ. თბილისი - ამირან მაისურაძის და შოთა კიკაბიძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, ჭაბუკებს შორის:
  92 კგ. წონითი კატეგორია – მესამე ადგილი.

## ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“

საცურაო აუზმა წლის განმავლობაში მომსახურება გაუწია 200 აბონენტს; 115 ერთჯერად შემომსვლელს; 50 კალათბურთელს (ერთჯერადი შემომსვლელი); საანგარიშო პერიოდში ღია აუზით ისარგებლა 623 მოქალაქემ; ერთ მოქალაქეს გაეწია მსაჟით მომსახურება; 260 მოსწავლეს საცურაო აუზი მოემსახურა შეღავათიანი ტარიფით.

## ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა“

კლუბ “რაჭაში“ ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 5 საფეხბურთო სექცია. ჯამში კლუბ “რაჭაში“ ვარჯიშობს 120 ბავშვი. კლუბი საანგარიშო წლის განმავლობაში ჩართული იყო იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირში U17 ასაკობრივი გუნდით, 2007 და 2008 წელს დაბადებულ მოზარდებს - 17 წლამდე  გუნდს მთელი წლის განმავლობაში  ჩატარებული აქვს 22 თამაში 11 გასვლითი და 11 საშინაო თამაში. U14 ასაკობრივი გუნდიც მონაწილეობდა იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირში 2009-2010 წელს დაბადებულ მოზარდებით, როინ კვასხვაძის სახელობის თასზე. გუნდმა ჩაატარა 16 თამაში 8 გასვლითი და 8 საშინაო თამაში. კლუბმა მონაწილეობა მიიღო რაჭა -ლეჩხუმი ქვემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირში 2010-2011-2012 წელს დაბადებული მოზარდებით. სადაც საფეხბურთო კლუბ ,,რაჭას“ 2 გუნდი ასპარეზობდა: ,,რაჭა ჭრებალო“ და ,,რაჭა“ ამბროლაური. ამ გათამაშებაში, ორივე გუნდმა ჩაატარა 8 გასვლითი და 8 საშინაო თამაში.

კლუბმა უმასპინძლა საქართველოს  ჩემპიონატის ეროვნული ლიგა 2-ის  წარმომადგენელ საფეხბურთო გუნდ ,,სპაერს“ 8 დღიან შეკრებაზე, ასევე კლუბმა უმასპინძლა ტყიბულის ,,მეშახტეს“ როგორც საწვრთნელ შეკრებაზე ასევე საქართველოს ეროვნული  ლიგა-3 კალენდარულ თამაშებზე.

გაფორმდა მემორანდუმი საფეხბურთო კლუბ ,,რაჭას“ და საფეხბურთო კლუბ  თბილისის ,,დინამოს“ შორის,  რაც გულისხმობს რომ საფეხბურთო კლუბ ,,რაჭას“ 10 წლამდე ასაკის მოზარდები ჩაერთვებიან აღნიშნულ პროექტში, სადაც ვარჯიშები მიმდინარეობს დინამოს მეთოდოლოგიით.

ჩატარდა საფეხბურთო ფესტივალი, სადაც ამბროლაური მასპინძლობდა თერჯოლის, ტყიბულის, ცაგერისა და ონის სკოლებს. ამ ტურნირის გამარჯვებულად გამოვლინდა ამბროლაურის გუნდი რომელსაც გადაეცა გამარჯვებულის თასი, მედლები და საპატიო სიგელები.  აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობდა 80 ბავშვი.

## კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში (პროგრამული კოდი 05 01 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ სოფელ ჭრებალოში ბუნებრივსაფარიანი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია;
- ✓ სოფელ აბანოეთში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა;
- ✓ სოფელ ბოსტანაში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა;
- ✓ სოფელ ლიხეთში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა;
- ✓ სოფელ ჩორჯოში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა;
- ✓ სოფელ ძირაგეულში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა;
- ✓ სოფელ იწაში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა;

## კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 5 ა(ა)იპ, ესენია:

### ➢ ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“

ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და მოსწავლეთა თეატრი, 7 - სოფლის კლუბი; 29 სოფლის ბიბლიოთეკა, 1 საბავშვო ბიბლიოთეკა ქ. ამბროლაურში და 1 ცენტრალური ბიბლიოთეკა ქ. ამბროლაურში; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური, საესტრადო მუსიკალური ბენდი "Art New Life", სახალხო ანსამბლი „საგალობელი“ და ფოლკლორული ანსამბლი „იავნანა“.

- ✓ ანსამბლები „იავნანა“ და „საგაობელი“ საანგარიშო წლის განმავლობაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონისძიებებსა და სატელევიზიო გადაცემებში. შედგა სახალხო თეატრის პრემიერა „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“; სახალხო თეატრი აღნიშნული სპექტაკლით წარსდგა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, სადაც მაყურებლის მხრიდან დიდი მოწონება დაიმსახურა; სპექტაკლი ნაჩვენები იქნა ქ.თბილისში შოთა რუსთაველის ეროვნულ თეატრში. ასევე დიდი მოწონება დაიმსახურა სახალხო თეატრის სპექტაკლმა „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“; თოჯინების თეატრმა „მელაკუდას თავგადასავალი“; წლის განმავლობაში ცენტრალური ბიბლიოთეკა მოემსახურა 3 100 მკითხველს, გაიცა 21 680 ცალი წიგნი;
- ✓ ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ჩაატარა შემდეგი ღონისძიებები: პოეტ ზურაბ ჯაფარიძის საღამო-გახსენება; წიგნის კითხვის მსოფლიო დღე; ,,ავიმაღლოთ ინტელექტი’’; ბენეფისი ,,ამბები ჩემზე“; „გურამ ფანჯიკიძე - 90 წელი“; ,,პოეზიის დედოფალი“- ანა კალანდაძე; ,,დრო სიყვარულმა გალია“-ლიტერატურული საღამო; „მომავალი ჩვენია’’ - ლიტერატურული საღამო; 10 კითხვა საქართველოს შესახებ - ლიტერატურული კონკურსი; ,,ვიცნობდეთ ჩვენს მხარეს“; 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე; პოეზიის საღამო ,,პაწაწინა რტო ვარ“; ,,მზიანი გულის კაცი“ - ნოდარ დუმბაძის გახსენება; თეიმურაზ ფანჯიკიძის წიგნის ,,გუჯია“ - პრეზენტაცია; ამერიკის საელჩოს პროგრამა ,,საზაფხულო გამოწვევა კითხვაში - 2023“;
- ✓ საბავშვო ბიბლიოთეკამ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: ,,მშვიდობა და სიყვარული მზის კოცონად ენთოს მარად“; ,,შეუქმნია რაით ქართველს“; 14 აპრილი დედაენის დღე: ,,ენაი შემკული და კურთხეული“; ,,მოვიარე საქართველო“; 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე: ,,ბავშვები სიცოცხლის ყვავილები არიან“; ,,გიყვარდეს წიგნი.... ცოდნის სანატრელ გზით რომ გვატარებს“; ,,დროს დაწეული რაჭველი ქალები“; ,,დედამიწის სიყვითლე შემოდგომის ბრალია“. მოემსახურა 570 მკითხველს; გაიცა 5630 წიგნი;

- ✓ ამბროლაურის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის მიერ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების (103 ძეგლი აქედან 7 ეროვნული მნიშვნელობის) მოვლა–პატრონობის ფარგლებში ფიქსაცია –აღრიცხვის მიზნით, მიმდინარე წლის განმავლობაში მოეწყო გასვლები სხვადასხვა სოფლებში: წესი, ხიდიკრის კლდეკარი, ხიმში, ზუგეული, საკეცია, კვირიკეწმინდა, ველევი, სხვავა, კლდისუბანი, სადმელი, ზემო კრიხი; აქტიურად მუშაობს, არსებული ფეისბუქ ჯგუფი და გვერდი: „რაჭა და რაჭის პეიზაჟები", ,,ამბროლაურის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური".

- ➢ **ა(ა)იპ „ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა"**

ხელოვნების სკოლაში გაერთიანებულია საფორტეპიანო (13 მოსწავლე), ხალხური საკრავების (21 მოსწავლე); გიტარა (14 მოსწავლე); საესტრადო ვოკალი (29 მოსწავლე); ქართული ხალხური სიმღერების (18 მოსწავლე), ქართული ცეკვები ჯგუფი „რაშოვდა" (20 მოსწავლე); ქართული ხალხური და თანამედროვე ცეკვები (142 მოსწავლე); სკოლაში სახელოვნებო-სამუსიკო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 257 ბავშვი.

2023 წელს ხელოვნების სკოლის მიერ განხორციელებული იქნა 12 ღონისძიება: აქედან გასვლითი - 9 (კონკურს-ფესტივალი - 5), სარაიონო - 3. სკოლამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში: „მომავლის ვარსკვლავები", რომელიც განხორციელდა საქართველოს ხელოვანთა კავშირის ასოციაციის ეგიდით. მონაწილეობდა სკოლის საგუნდო ვაჟთა და გოგონათა კლასი, საესტრადო, ვაჟთა ფოლკლორული, ხალხურ საკრავთა და საფ/ნო მიმართულებების 50-მდე მოსწავლე. საუკეთესო შესრულებით წარსდგა სკოლა კომპეტენტური ჟიურის წინაშე. ხოლო 22 და 23 აპრილს გაიმართა ქ.თბილისში ა. ვირსალაძის სახელობის გიმნაზიის დარბაზში გალა კონცერტი, სადაც დაჯილდოვდნენ ნომინაციებში გამარჯვებულები: 1. საგუნდო კლასი; 2. ხალ/საკრავთა ორკესტრი „საპოვნელა", ყველა მოსწავლე დაჯილდოვდა საპატიო დიპლომებით. ცაგერში გამართულ ფესტივალი „ხომლი 2023", სადაც მიწვეული იყო ანსამბლები: „თი-ემ-სი" და „რაშოვდა". ცაგერის შემდეგ ტურნე გააგრძელა ანსამბლმა „თი-ემ-სი" და მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის ქორეოგრაფიულ საფესტივალო მარათონში „ძმები მოსიები" ფესტივალის მიზანი იყო საუკეთესო ანსამბლების საანგარიშო კონცერტზე წარდგენა, სადაც ანსამბლის 2 ნომერი „რაჭული" და „ალვანური" საუკეთესო საშემსრულებლო ნომინაციით შეფასდა. 26 მაისს გაიმართა ადგილობრივი ღონისძიება - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, სადაც სკოლის ყველა განყოფილების მოსწავლე და პედაგოგი იყო ჩართული. 10 ივნისს ქორეოგრაფიული ანსამბლი „რაშოვდა" მიწვეული იყო ბათუმში კონკურს-ფესტივალზე, სადაც დაჯილდოვდნენ გრანდიოზული პრიზით და მიწვევა გაუკეთდათ საზღვარგარეთ. 17 ივნისს ამბროლაურში გაიმართა ბავშვთა და მოზარდთა ფესტივალი „სახიობა რაჭაში-2023", რომელშიც მონაწილეობდა 10-მდე მუნიციპალური: სახელოვნებო, სამუსიკო, ქორეოგრაფიული სკოლები, კულტურის ცენტრები, სკოლა-სტუდიები. 400-მდე მოსწავლე-ახალგაზრდა მონაწილეობდა. 20 ივნისს ქორეოგრაფიული ანსამბლი „რაშოვდა" გაემგზავრა ბულგარეთის საერთაშორისო ფესტივალზე, როგორც გრანპრის მფლობელი გამარჯვებული ანსამბლი "ზღვის ფესტივალიდან" 25% დაფინანსებით, ანსამბლი ერთ კვირიანი ტურნეთი იმყოფებოდა გასტროლზე. 26-29 ივნისს ქორეოგრაფიული ანსამბლი „თი-ემ-სი" ჩაერთო საკონკურსო ფესტივალ მარათონში „ჰარირა" ქობულეთში. 45 მონაწილე ანსამბლს შორის „თი-ემ-სი" დაჯილდოვდა ოქროს არწივით, რომელიც გრანპრის შემდეგ გაიცა ორ ანსამბლზე. 24 ნოემბერს ქორეოგრაფიული ანსამბლი „თი-ემ-სი" მიწვეული იყო ქალაქ ბათუმში საერთაშორისო სატელევიზიო კონკურს - ფესტივალზე „TV 100", სადაც ანსამბლმა უმაღლესი ჯილდო გრანპრი მოიპოვა. 1 დეკემბერს ხელოვნების სკოლას ეწვია სატელევიზიო გადამღები ჯგუფი „ევრონიუს ჯორჯია", რომლებმაც მოამზადეს სიუჟეტი სკოლის ამსახველ ფრაგმენტებით რუბრიკა „მუსიკის ხმა ამბროლაურში". სიუჟეტი გავიდა ტელევიზიით, სადაც სკოლა ფართო საზოგადოებამ გაიცნო. 23 დეკემბერს ანსამბლი „რაშოვდა" იმყოფებოდა ქალაქ ბათუმში რესპუბლიკურ კონკურს-ფესტივალზე „ბათუმი 2023", სადაც ანსამბლმა დამსახურებულად მიიღო ჯილდო „გრან-პრი". პედაგოგი დაჯილდოვდა საპატიო დიპლომით 2023 წლის საუკეთესო ქორეოგრაფი და მიიღო წოდება

„ხელოვნების ელჩი უცხოეთში“, ასევე მიენიჭა ქორეოგრაფ-ამაგდარის წოდება. წარმატებით განხორციელდა პროექტი „სახიობა რაჭაში 2023“.

- ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა“

სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახვითი ხელოვნების (ხატვა, ფერწერა, გრაფიკა, კომპოზიცია. სულ 45 მოსწავლე) და გამოყენებითი ხელოვნების (ტიხრული მინანქარი - 9 მოსწავლე; ხალიჩა-ფარდაგი - 10 მოსწავლე; თექა,ჭრა-კერვა - 13 მოსწავლე; ხატწერა -7 მოსწავლე) დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 84 მოსწავლე.

25 იანვარს სკოლის საგამოფენო დარბაზში ჩატარდა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. 20 თებერვალს სკოლის საგამოფენო დარბაზში ჩატარდა სასწავლო პროგრამით დაგეგმილი გამოფენა, რომელშიც ერთობლივად მონაწილეობდნენ გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფის მოსწავლე-პედაგოგები; 17 აპრილს სკოლის სალონურ სივრცეში, მოვაწყვეთ ჩვენი სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულის, ახლა უკვე სამხატვრო აკადემიის სტუდენტის, პერსონალური გამოფენა. ნორჩმა მხატვარმა საინტერესო კუთხით წარმოადგინა საკუთარი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება-გამოფენა მოეწყო ძირითადად სამხატვრო სკოლის შიდა გარემოში.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, სამხატვრო სკოლა მოსწავლეების მრავალფეროვანი ნამუშევრების გამოფენით ჩაერთო; 14 ივნისს სკოლის საგამოფენო დარბაზში, ჩატარდა მოსწავლეთა ნამუშევრების მე-2 სემესტრის დამამთავრებელი გამოფენა-ღონისძიება, რომელზეც სკოლის წლევანდელ კურსდამთავრებულებს გადაეცათ, სამხატვრო სკოლის ოთხწლიანი კურსის დასრულების მოწმობა; 15 ივნისს, ქ.თბილისში მხატვართა ლიგის მიერ მოეწყო ,,საზაფხულო გამოფენა”, რომელშიც მონაწილეობდა სამხატვრო სკოლა - გრაფიკული ნამუშევრებით და ფერწერული ნამუშევრებით. აღნიშნული ნამუშევრები შევიდა კატალოგში. 1 ივლისს სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრებით ჩართულობა მოვახდინეთ ამბროლაურში გამართულ ,,მუსიკალური საღამოები”-ს ფესტივალზე. სალონურ სივრცეში ჩატარდა გამოფენა-ღონისძიება, რომელზეც წარმოდგენილი იყო თვითნასწავლი შემოქმედის ნამუშევრების გამოფენა. 28 ოქტომბერს მოეწყო სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული გასვლითი ღონისძიება ქ.თბილისში, რომელიც ჩატარდა სკოლასთან დამეგობრებულ, სოლიკო ვირსალაძის სახ. სამხატვრო ხელოვნების სკოლაში. ადგილზე მოხდა ჩვენება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფების მოსწავლეთა მრავალფეროვანი ნამუშევრები. გამოფენამ წარმატებით ჩაიარა, მოსწავლეებმა სპეციალისტებისგან მაღალი შეფასება და სამახსოვრო დიპლომებიც მიიღეს; ნოემბრის ბოლოს ქ. თბილისში მხატვართა ლიგის მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე, სკოლის პედაგოგ-მოსწავლეებმა წარმოადგინეს საკუთარი ნამუშევრები, რომლებიც კატალოგში იქნა შეყვანილი; 21 დეკემბერს სკოლის საგამოფენო დარბაზში მოეწყო წლის დამამთავრებელი, სემესტრულ-შემაჯამებელი გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო სკოლის ყველა მოსწავლის საუკეთესო ნამუშევრები.

- ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;

მუნიციპალურ მუზეუმში განთავსებულია 868 ექსპონატი; 602 - სახვითი ხელოვნების მუზეუმში; 266 - აზარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. საანგარიშო წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობამ საშუალოდ შეადგინა 450 ვიზიტორი.

საანგარიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: „საშობაო გამოფენა“; ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა; ლუკა ლიჩელის ნამუშევრების გამოფენა; „საგაზაფხულო გამოფენა-„ქალის პორტრეტი“; „ღამე მუზეუმში“-თემა „ეკოლოგია“; ბავშვთა დაცვის საერთასორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა; გოგი ჩლაიძის ნამუშევრების გამოფენა; მუზეუმში დაცული ჭედური

ნამუშევრების გამოფენა; „საშემოდგომო გამოფენა"; სერგო ბოიახჩევის ნამუშევრების გამოფენა; საშობაო გამოფენა

- (ა)იპ ტურისტული ცენტრი

ცენტრმა უზრუნველყო საინფორმაციო ბაზის შექმნა, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების, მათ შორის სასტუმროების, ტურისტული ლოკაციების, კვების და სხვა ობიექტების შესახებ. ცენტრი ახორციელებს ბაზის მუდმივ განახლებას. ტურისტული ცენტრი" შემოსულ ვიზიტორებს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციით. საანგარიშო პერიოდში მოხდა ბილიკების მონიტორინგი: მარკირების, ნიშნულებისა და საინფორმაციო დაფების აღრიცხვა; დაიბეჭდა და დამონტაჟდა დაზიანებული ნიშნულები; მოხდა ბილიკების ხელახალი აზომვა-განახლება ტურისტებისათვის უსაფრთხოებისა და მათთვის თვალსაჩინოების შექმნის მიზნით; გაიწმინდა არსებული ბილიკები.

ტურისტულმა ცენტრმა 2023 წლის განმავლობაში 6791 ვიზიტორს გაუწია მომსახურება.

## კულტურის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02)

კულტურული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 26 მაისის ღონისძიების ორგანიზება;
- განხორციელდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მუნიციპალური და რეგიონალური თამაშების ორგანიზება და ჩატარება, შეძენილ იქნა მედლები, სიგელები და თასი;
- შეძენილ იქნა ანსამბლ ,,რაშოვდა" - ზე გადასაცემად ცეკვის ფორმები (17 ერთეული);
- მოეწყო ანსამბლ იავნანას წევრის მზია ფარულავას საიუბილეო საღამო;
- ფესტივალ ,,ხომლი 2023" მონაწილეობის მისაღებად გაეწია ტრანსპორტირება ა(ა)იპ ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლას ცაგერის მუნიციპალიტეტში;
- ახალი წლის საზეიმო ღონისძიების მონაწილე და ვიზიტორი ბავშვების დასაჩუქრების მიზნით, სხვადასხვა სახის ტკბილეულის შესყიდვა; ახალი წლის ნაძვის ხის მანათობელი და მოსართავი სათამაშოებისა და ფოიერვერკების შესყიდვა;
- ვეტერანების დღის (17 ოქტომბერი) აღნიშვნის ორგანიზება;
- ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის პროგრამის" ფარგლებში გაიცა 30 ფულადი ჯილდო;
- განხორციელდა მიხეილ თურქაძის (dj somaly) მომსახურების შესყიდვა;
- დაუნის სინდრომის მქონე პირთა მხარდამჭერი აქცია;

## ახალგაზრდობის მხარდჭერა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამა ითვალისწინებდა ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, ორიენტირებული იყო მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებას, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე; ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ქ. ამბროლაურში მდებარე სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო პროგრამებზე თანაბარი წვდომის ხელშეწყობაზე; მომზადდა და დამტკიცდა „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგზარდობის განვითარების სტრატეგია 2023 - 2025" და 2023 წლის სამოქმედო გეგმა. ახალგაზრდობის საერთაშორისო

დღის აღნიშვნისთვის მოხდა საჭირო ინვენტარის შეძენა; განხორციელდა მუნიციპალიტეტის სკოლებში სასკოლო სპორტის კვირეულის ორგანიზება და სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023-2024 გახსნა; ა(ა)იპ „დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების“ პროექტის ,,I see you-გაიცანი საქართველო - მარტვილის მუნიციპალიტეტი“ მონაწილე ლიდერი ახალგაზრდის ბანაკში დასვენების თანადაფინანსება.

## ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 923,3 ათასი ლარით, გეგმით გათვალისწინებული - 970,4 ლარი. მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსებას მოხმარდა 370,7 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 552,6 ათასი ლარი.

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 970,4 | 923,3 | 95 |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 393,4 | 370,7 | 94 |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 113,8 | 105,2 | 92 |
| 06 01 03 | ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა | 33,0 | 32,2 | 98 |
| 06 01 04 | ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსება | 153,9 | 148,5 | 96 |
| 06 01 06 | ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | 33,2 | 29,8 | 90 |
| 06 01 07 | ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსება | 59,5 | 55,1 | 93 |
| 06 02 | სოციალური დაცვა | 577,0 | 552,6 | 96 |
| 06 02 01 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და საახალწლო და სააღდგომოდ სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა | 48,4 | 46,8 | 97 |
| 06 02 02 | ახალშობილთა და ახლადშექმნილი ოჯახების ფინანსური დახმარება | 45,7 | 43,9 | 96 |
| 06 02 03 | მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება | 1,5 | 1,2 | 83 |
| 06 02 04 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შშმ პირთა ზრუნვის ხელშეწყობა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა ფინანსური დახმარება | 158,5 | 151,2 | 95 |
| 06 02 05 | ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება; | 36,0 | 36,0 | 100 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 06 02 06 | მრავალშვილიან (სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი) ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 85,5 | 82,4 | 96 |
| 06 02 07 | მარჩენალდაკარგული (0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 32,2 | 23,8 | 74 |
| 06 02 08 | უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა | 15,6 | 15,6 | 100 |
| 06 02 09 | მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 5,6 | 4,8 | 86 |
| 06 02 10 | ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ფინანსური დახმარება | 21,2 | 21,0 | 99 |
| 06 02 11 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისათვის ფინანსური დახმარება | 73,8 | 73,0 | 99 |
| 06 02 13 | ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა | 53,0 | 53,0 | 100 |

ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის მიხედვით განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსულობების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სანიტარულ-ჰიგიენური პირობების კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ შესაბამის ობიექტებზე ეპიდზედამხედველობა;

მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მოქალაქეთა სამედიცინო და მედიკამენტური მკურნალობა.

| N | პროგრამის დასახელება | ბენეფიციარი |
|---|---|---|
| 1 | ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსება | 199 |
| 2 | ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსება | 99 |
| 3 | ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | 60 |
| 4 | ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა | 108 |
| | **სულ** | **466** |

### სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

| N | პროგრამის დასახელება | ბენეფიციარი |
|---|---|---|
| 1 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და საახალწლო და სააღდგომოდ სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა | 26/146 |
| 2 | ახალშობილთა და ახლადშექმნილი ოჯახების ფინანსური დახმარება | 68/9 |
| 3 | მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება | 5 |
| 4 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შშმ პირთა ზრუნვის ხელშეწყობა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა ფინანსური დახმარება | 23/61/19 |
| 5 | ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება; | 4 |
| 6 | სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვიან ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 146 |
| 7 | მარჩენალდაკარგული (0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 39 |
| 8 | უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა | 8 |
| 9 | მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 16 |
| 10 | ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ფინანსური დახმარება | 105 |
| 11 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისათვის ფინანსური დახმარება | 246 |
| 12 | ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა | 57 |
| | **ს უ ლ** | **978** |